

ორგანიზაციის ინოვაციური მართვის თეორიული
მიდგომა

INNOVATIVE MANagements THEORETICAL APPROACHES OF
ORGANIZATION

თამარ როსტიაშვილი

TAMAR ROSTIASHVILI

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

PhD in economics, Associated Professor
of Georgian Technical University

ანოტაცია

ინოვაცია წარმოადგენს სიახლის დანერგვის პროცესს, როგორც სამეცნიერო კვლევების კონკრეტულ შედეგს მართვის ობიექტის შეცვლის მიზნით და სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მისაღებად. სოციალურ სისტემაში განვითარებული ინოვაცია ხელს უწყობს მისი სტრუქტურის გარდაქმნას.

თანამედროვე სოციოლოგიაშია მოყვანილია ინოვაციის შესწავლის ორი ძირითადი მიდგომა: ორგანიზაციულად-ორიენტირებული და ინდივიდუალურად-ორიენტირებული.

ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს მრავალვექტორულ პროცესს სტრატეგიული მარკეტინგის, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების, სიახლის წარმოებისა და გაფორმების, სხვა სფეროებში მათი დანერგვისა და გავრცელების შესახებ. ინოვაციური საქმიანობა - საქმიანობის დამოუკიდებელი სახეა, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები.

სიახლის შემოღება წარმოადგენს ინოვაციური პროცესის შედეგს, რომელიც ახორციელებს მეცნიერული ცოდნის ტრანსფორმაციას ინოვაციაში.

ინოვაციური პროცესის მთავარი განსხვავება ინოვაციური საქმიანობისაგან ინოვაციის სავალდებულო დასრულებაში გამოიხატება ანუ შედეგის მიღებაში, რომელიც პრაქტიკული რეალიზაციისათვის გამოსადეგია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური საქმიანობა, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური მოდელი, ციკლების თეორია, ემპირიული კვლევები, ინოვაციური საზოგადოება, ინოვაციის აგენტი.

Abstract

Innovation represents the process of the innovation, as a concrete result of scientific studies. In order to change object management, and to get scientific technical, economic and social effects.

The developed innovation in modern sociology, supports its structure transforms.

In modern sociology there are two main approaches to the study of innovation: organizationally oriented and individually oriented.

Innovative activity represents multi-process of strategic marketing, manufacturing, organizational technical training, manufacture and appearance of innovation, their introduction and distribution in other spheres. Innovative activity – is independent face of activity, which is characterized by specific features.

The introduction of innovation represents a result of innovative process, which implements the transformation of scientific knowledge in innovation.

The main difference between the innovation process from innovative activity, is expressed to ending mandatory innovation. So, to get the results, which is suitable for practical implementation.

Key words: Innovation, Innovative activity, Innovative process, Innovative model, Cycle theory, Empirical studies, Innovative society, Innovation agent.

ინოვაციის ცნება (innovus) პირველად გაჩნდა მე-19 საუკუნეში კულტუროლოგების კვლევებში და აღნიშნავდა ერთი კულტურის ელემენტის შეტანას მეორეში. ჩვეულებრივ, საქმე ეხებოდა ევროპის ორგანიზაციების წეს-ჩვეულებების ინფილტრაციას ტრადიციულ აზიურ და აფრიკულ საზოგადოებებში. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო ტექნიკური სიახლეების კანონზომიერებების შესწავლა [3].

ინოვაციის ფუძემდებლად თვლიან ი. შუმპეტერს. იგი თავის შრომაში „ეკონომიკური განვითარების თეორია“, რომელიც გამოიცა 1912 წელს, ინოვაციას განიხილავდა მოგების მისაღებად მეწარმეობის საშუალებად. შუმპეტერი მეწარმეებად თვლიდა „სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქცია იყო ახალი კომბინაციების განხორციელება, რომლებიც გამოდიოდნენ მისი აქტიური ელემენტის როლში“ [4].

მოგვიანებით, 30-იან წლებში ი. შუმპეტერმა ინოვაცია დაახასიათა „როგორც ახალი საწარმოო ფუნქციის დანერგვა. ეს შეიძლება იყოს ახალი საქონლის წარმოება, ორგანიზაციის ახალი ფორმის დანერგვა, როგორცაა, მაგალითად, ახალი ბაზრის გახსნა და ა.შ.“ [5]

მნიშვნელოვანი წვლილი ინოვაციების კვლევაში შეიტანა ნ.დ. კონდრატევი, რომელმაც დააფუძნა დიდი ციკლების თეორია 50-60 წლის ხანგრძლივობით, შეიმუშავა კონიუნქტურის ციკლების მოდელები. მან დაამტკიცა, რომ ახალ ციკლზე გადასვლა დაკავშირებულია კაპიტალის მარაგის ზრდასთან, რომელიც შექმნილი გამოგონებების მასიური დანერგვის პირობებს ქმნის. ნ.დ. კონდრატევი ახალ ციკლზე გადასვლას უკავშირებდა ტექნიკურ პროგრესს: „ყოველი დიდი ციკლის აღმავალი ტალღის წინ, ხანდახან დასაწყისშიც - წერდა ის, - შეინიშნება საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები ჩვეულებრივ გამოიხატება ამა თუ იმ კომბინაციებში, მნიშვნელოვან ტექნიკურ გამოგონებებსა და აღმოჩენებში, წარმოების და გაცვლის პროცესში ტექნიკის ღრმა ცვლილებებში.“ [6]

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ცვლილებაში მთავარ როლს ნ.დ. კონდრატევი სამეცნიერო - ტექნიკურ სიახლეებს მიაწერდა.

30-იანი წლების დასაწყისის „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ამერიკელ მენეჯერებს შორის პოპულარული ხდება ტერმინი „ფირმის ინოვაციური პოლიტიკა“; ამ ტერმინის შინაარსი გაიგივებულია შემდეგთან: ფირმას შეუძლია მიიღოს უპირატესობა გასაღების ბაზარზე და მაქსიმალური მოგება არა მარტო ფასების მანიპულაციით, არამედ თავისი პროდუქციის მუდმივი განახლების გზით.

პრაქტიკას თუ მოვიშველებთ, დასავლეთში 30-იან წლებში იწყება, ხოლო 60-70-იან წლებში

დიდ გასაქანს იღებს სიახლეების ემპირიული კვლევები, რომლებსაც ახორციელებენ ფირმები და სხვა საქმიანი ორგანიზაციები. სახელმწიფომ თავის მხრივ, აღმოაჩინა ინოვაციურობის ფასი და მნიშვნელობა როგორც მომავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნების. მსოფლიო მმართველობით ლიტერატურაში „ინოვაცია“ ინტერპრეტირებულია როგორც პოტენციური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გარდასახვა რეალურში, რომელიც აისახება ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში“. [7].

სიტყვათა თანაწყობა „ინოვაციური საზოგადოება“ მსგავსია ისეთი ცნებების, როგორცაა „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ ან „ინფორმაციული საზოგადოება“.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების გადასვლა სიახლეებზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კონცეფციის ჩარჩოში ხდებოდა. ინოვაციების სფეროში სპეციალიზაცია დაგვიანებით მოხდა. ეს გამოწვეული იყო წარსულში მართვის სრულყოფისა და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დანერგვის ამოცანებისადმი არასაკმარისი ყურადღებით. მაშინ როცა დასავლეთში მეცნიერება სიახლეების შემოღებაზე ორიენტირებული დარგი ხდება, ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური კვლევები მხოლოდ იწყებს სამეცნიერო საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბებას. შემთხვევითი არ არის რომ პოლიტოლოგიური და მაკროსოციალური ანალიზი ზოგჯერ ქვეყნის სისტემის კრიზისის ძირითად მიზეზს მიაწერს 80-იანი წლების დასაწყისში დასავლეთის ეკონომიკის ინოვაციური ორიენტაციის გამოწვევებზე პასუხის არქონას.

უკანასკნელი წლების სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურაში ცნება „ინოვაციის“ შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არსებობს მისი მრავალი განმარტება. ტერმინის „ინოვაცია“ არსებული განმარტებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გავრცელებულია სამი შეხედულება. პირველი - ინოვაცია გაიგივებულია სიახლის შემოღებასთან, სიახლესთან. მეორე - შეხედულებით ინოვაცია განიხილება როგორც ახალი პროდუქციის, ტექნოლოგიის შექმნის პროცესი, სიახლე ორგანიზაციის, ეკონომიკის სფეროში და წარმოების მართვაში. მესამე - ინოვაცია როგორც წარმოებაში ახალი ნაწარმის, ელემენტების, მიდგომების დანერგვის პროცესი, რომლებიც ხარისხობრივად უპირატესია წინამორბედ ანალოგზე.

მიზანშეწონილია განვასხვაოთ ცნებები „სიახლე“ და „ინოვაცია“. ჩვენ ვეთანხმებით იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც თვლიან რომ არ შეიძლება ამ ცნებების გაიგივება.

სიახლე არის ინოვაციის საგანი, სიახლის დანერგვა - არის პროცესი, ანუ რომელიც სისტემის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

სიახლე-არის ფუნდამენტურ-გამოყენებითი კვლევების, შემუშავებების ან ექსპერიმენტული სამუშაოების მიღწეული, გამოქვეყნებული შედეგი საქმიანობის რომელიმე სფეროში ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. სიახლე შეიძლება გაფორმდეს შემდეგი სახით: აღმოჩენა; გამოგონება; პატენტი; სასაქონლო ნიშანი; რაციონალიზატორული წინადადება; დოკუმენტაცია ახალ ან სრულყოფილ პროდუქტზე, ტექნოლოგიაზე, მმართველობით ან წარმოებით პროცესზე; ორგანიზაციულ, წარმოებით ან სხვა სტრუქტურაზე; ნოუ-ჰაუ; ცნება; სამეცნიერო მიდგომები ან პრინციპები; დოკუმენტი (სტანდარტი, რეკომენდაცია, მეთოდის, ინსტრუქცია და ა.შ.); მარკეტინგული კვლევის შედეგები და ა.შ. ინვესტიციის ჩადება სიახლის შემუშავებაში - ნახევარი საქმეა. მთავარია - სიახლის დანერგვა, სიახლის გადაქცევა ინოვაციის ფორმად ანუ ინოვაციური საქმიანობის დასრულება და დადებითი შედეგის მიღება, შემდეგ ინოვაციის დიფუზიის გაგრძელება. ეს ეტაპები მიეკუთვნება ინოვაციურ საქმიანობას როგორც პროცესს.

ამრიგად, სიახლე გამოდის როგორც ახალი პროდუქციის, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ინფორმაციის, მეთოდის და ა.შ. სამეცნიერო კვლევების კონკრეტული შედეგი. თავის მხრივ, ინოვაცია სიახლის დანერგვის პროცესია მართვის ობიექტის შეცვლის მიზნით მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მისაღწევად.

ჯ. ზალტმენის და სხვა დასავლეთელი მკვლევარების შეხედულება ინოვაციის შესწავლის მიდგომების შესახებ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ორგანიზაციულად - ორიენტირებული და ინდივიდუალურად - ორიენტირებული. [8]

ორგანიზაციულად-ორიენტირებული მიდგომისას (ჯ. ხეიჯი, მ. აიკენი, ხ. შეპარდი, ე.მ. როჯერსი, რ. დანკანი და სხვ. [8]) ტერმინი „ინოვაცია“ გამოიყენება როგორც სინონიმი ცნების „გამოგონება“ და მიეკუთვნება შემოქმედებით პროცესს, სადაც ხდება ორი ან მეტი შეხედულების, იდეის, ობიექტის შეთანაწყობა პროცესში სოციალური სუბიექტის მიერ რაღაც გარკვეული სახით და იმ მიზნით, რომ მოხდეს ადრე არარსებული კონფიგურაციის ფორმირება. ამ სუბიექტს ეწოდება ინოვაციის აგენტი.

ინოვაციის ეფექტური აგენტის როლში შეიძლება გამოვიდეს: 1) ცვლილებების განმახორციელებელი ჯგუფი (change team); 2) მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდი; 3) კონსულტანტი.

ინოვაციური კონცეფციის რეალიზაცია დაკავშირებულია სტანდარტული რესურსების გამოყენებასთან, რომლებიც ადამიანების სოციალური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში გამოიყენება - ესაა ეკონომიკური რესურსები: კაპიტალი (ფინანსური რესურსები, ამოღებული მიმდინარე

მოხმარებიდან და მომდევნო შედეგებში გათვლილი); მატერიალური რესურსები (ნედლეული და მოწყობილობები) : შრომა, მართვა და დრო.

ინოვაციური პროცესის მოდელირება ხდება იმ მოვლენების თანმიმდევრობის სახით, რომლებიც ახდენენ ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის ფორმირებას. განხილული მიდგომის ჩარჩოში საბაზისოდ ითვლება მილოუს ინოვაციური მოდელი, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1) სიახლის კონცეპტუალიზაცია; 2) ინოვაციასთან მიახლოება; მიახლოებითი წინასწარი შეთანხმება; 3) რესურსების შესყიდვა; 4) ინოვაციური კონცეფციის რეალიზაცია; 5) შედეგების ინსტიტუციონალიზაცია.

ინოვაცია წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული პროცესების კომპლექსს და წარმოადგენს ახალი იდეების კონცეპტუალიზაციის შედეგს, რომელიც მიმართულია პრობლემის გადაწყვეტაზე და შემდეგ - ახალი მოვლენის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამასთან სიახლე იზომება არა საზოგადოებასთან, არამედ საკვლევ ორგანიზაციასთან დამოკიდებულებით.

ინდივიდუალურად - ორიენტირებული მიდგომისას (ნ. ლინი, ჯ. ზალტმენი, ტ. რობერტსონი, უ. ბელლი, რ. კრეინი, ჯ. ლ. უოლკერი, კ. ნაიტი და სხვ. [13]) აღწერილია ასახულია პროცესი, რომლის საშუალებითაც რომელიღაც სოციოკულტურული ობიექტი (სიახლე) ხდება ინდივიდების ქცევის სახეების ნაკრების ნაწილი და კოგნიტური სფეროს ერთ-ერთი შემადგენელი. მოცემულ მიდგომაში ინოვაცია განიხილება როგორც გამოგონებლობითი საქმიანობა, მოღვაწეობა, როცა განსაკუთრებული სახით გადაიკვეთება ორი ადრე ერთმანეთთან დაუკავშირებელი სისტემა - ინდივიდი და ინოვაცია.

ინდივიდუალურად-ორიენტირებული მიდგომის ჩარჩოებში ინოვაციური გადაწყვეტილების ტიპოლოგიის საფუძვლად ხშირად გვევლინება ორგანიზაციის წევრების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირების სხვადასხვა სტადიებში. გადაწყვეტილების ფაზაში ფასდება ინფორმაცია ინოვაციის პოტენციალზე. გამოიყოფა: 1. ადმინისტრაციული გადაწყვეტილება (ორგანიზაციის წევრები არ ახდენენ შემოქმედებას გადაწყვეტილების მიღებაზე); 2. - კოლექტიური (პარტისიპატიული) გადაწყვეტილება (ორგანიზაციის წევრები განსაზღვრავენ გადაწყვეტილების მიღებას).

ადმინისტრაციული გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდის ან ინდივიდების მცირე ჯგუფის მიერ (დომინანტური კოალიციის მიერ), კოლექტიური გადაწყვეტილება - ყველას მიერ (ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის ცვლილების რეციპიენტის მიერ). ითვლება რომ პირველი ტიპის გადაწყვეტილება ეფექტურია, რამეთუ მცირდება ცვლილებისადმი წინააღმდეგობის მასშტაბი და

იზრდება სიახლის დანერგვის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ახალი წინადადებების ნაკადი.

ორგანიზაციულად-ორიენტირებული და ინდივიდუალურად ორიენტირებული მიდგომები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ დასავლეთის ინოვაციური კონცეფციის განვითარების შესახებ, როგორც სამამულო გამოგონებების კრიტიკული ანალიზის, ასევე მთლიანობაში ინოვაციური კონცეფციის განვითარების პროგნოზის თვალსაზრისით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე პირობებში ფორმები მისწრაფიან ინოვაციებში რეალიზებული სიახლეების ხვედრითი წილის გაზრდისაკენ, რაც საშუალებას აძლევთ აამაღლონ მოცემულ სფეროში მონოპოლიზმის დონე და მყიდველებს და კონკურენტებს უკარნახონ თავიანთი პოლიტიკა. საზოგადოების კეთილდღეობა განისაზღვრება არა ინვესტიციების მოცულობით და არა წარმოების ფაქტორების მასით, არამედ ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობით, რომელიც დადებით საბოლოო შედეგს იძლევა.

სიახლეები შეიძლება შემუშავდეს ნებისმიერი პრობლემის ირგვლივ საქონლის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიაზე. პროცესებს სტრატეგიული მარკეტინგის, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მომზადების, სიახლეების წარმოებისა და გაფორმების, მათი დანერგვის (ინოვაციად გარდაქმნის) და გავრცელების შესახებ სხვადასხვა სფეროებში (დიფუზია) ეწოდება ინოვაციური საქმიანობა.[9]

ჩვენი შეხედულებით, ინოვაციური საქმიანობა უნდა განვიხილოთ როგორც საქმიანობის დამოუკიდებელი სახე, რომელსაც აქვს შემდეგი სპეციფიკური თავისებურებები:

1 მართვის სტაბილური ობიექტებისაგან განსხვავებით, პროგნოზირებადი პარამეტრები, რომელთაც ადგილი აქვთ საწარმო-სამეურნეო საქმიანობაში, ინოვაციის მიმდინარების განმავლობაში განიცდის უშუალოდ მართვის ობიექტის ცვლილებას: იცვლება პროდუქტის სპეციფიკაცია, საგანი და შრომის იარაღები, ტექნოლოგია ფართო გაგებით.

2 მართვის ინოვაციური საქმიანობა ორგანიზაციის ტრადიციული მართვისაგან განსხვავებით ხასიათდება მაღალი არასტაბილურობით და მართვის სისტემის ყველა ელემენტების ცვალებადობით, ასევე მაღალი რისკით. სტაბილური პროცესებისაგან განსხვავებით ინოვაციური პროცესები ძნელად კვლავწარმოებადია ანალოგიურ პირობებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში გამეორებამ შეიძლება მიგვიყვანოს საწინააღმდეგო შედეგებამდე.

3 ინოვაციურ საქმიანობაში ძალიან მნიშ-

ვნელოვანია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების ფაქტორი, რადგან სიახლის დანერგვას ყოველთვის თან ახლავს პერსონალის წინააღმდეგობის გადალახვის ამოცანის გადაჭრა, მაშინ როცა ტრადიციულ მენეჯმენტში მსგავსი ამოცანები ძალზე იშვიათად გვხვდება.

4 ინოვაციური გადაწყვეტილების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთების ტრადიციული ფინანსური მიდგომები ყოველთვის ადეკვატურად ვერ ითვალისწინებს ინოვაციის ზემოქმედებას ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოზე, ბოლომდე არ ფასდება ინოვაციის დადებითი ეფექტი.

5 ინოვაციური მართვისას პროექტების ტრადიციული მართვისაგან განსხვავებით ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებთან ერთად წარმოიშობა ორგანიზაციის კომერციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა და მისი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციის საკითხები.

ინოვაციური საქმიანობა უზრუნველყოფს ფართო სპექტრის ორგანიზაციებში სიახლეების დანერგვის პროცესს, რომელიც დაკავშირებულია:

1) ახალი პროდუქტისა და მომსახურების წარმოებასთან;

2) ახალი ტექნოლოგიის გამოყენებასთან (სამრეწველო, ფინანსური, ინფორმაციული და სხვა.) ან ახალი ტექნიკის ათვისებასთან;

3) რესურსების ახალი წყაროების გამოყენებასთან (ახალი მასალების, ახალი ენერგორესურსების და მათი წყაროების ჩათვლით, ინფორმაციული რესურსები და ცოდნა);

4) წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვასთან; ახალი ბაზრების ათვისებასა და განვითარებასთან.

ჯერ კიდევ 1934 წელს ი. შუმპეტერი აღნიშნავდა, რომ ინოვაცია წარმოადგენს ძირითადი ფაქტორების შეთანაწყობას, რომელიც ეხება პროდუქტული, ტექნოლოგიური და ნედლეულის, ორგანიზაციული, მარკეტინგული სიახლის დანერგვას და ეხება არა მარტო ძირითად წარმოებას, არამედ მომსახურების პროცესს, ორგანიზაციას და მართვას.[9]. ამიტომ თანამედროვე ინოვაციის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სიახლის დანერგვის კლასიფიკაცია.

მეცნიერმა ა.ი. პრიგოჟინმა მოგვცა ინოვაციის მიმართულებების ერთ-ერთი სრული კლასიფიკაცია შემდეგი მიმართულებებით: 1) გავრცელების მიხედვით: ერთეულოვანი, დიფუზიური; 2) საწარმოო ციკლში ადგილის მიხედვით:

ნედლეულის; უზრუნველყოფი (დამაკავშირებელი); პროდუქტული; 3) უპირატესობის მიხედვით: შემცველი; უარყოფითი; დაბრუნებით; გამსწვლელი; შემავალი; 4) ბაზრის სავარაუდო წილის ათვისების, დაპყრობის მიხედვით: ლოკალური; სისტემური; სტრატეგიული; 5) ინოვაციური პოტენციალის და სიახლის ხარისხის მიხედვით: რადიკალური; კომბინატორული; სრულყოფითი. [10].

კლასიფიკაციის მეოთხე და მეხუთე მიმართულებები, რომელიც ითვალისწინებს ინოვაციის მასშტაბს და სიახლეს, ინოვაციური ცვლილების ინტენსივობას, ყველაზე მეტად ასახავენ ინოვაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს და მნიშვნელობა აქვთ მმართველობითი გადაწყვეტილების ეკონომიკური შეფასებისა და

შედევების დასაბუთებისათვის.

მოკლედ შევხვდეთ ინოვაციური პოტენციალის და სიახლის ხარისხის მიხედვით ინოვაციის კლასიფიკაციაზე. მოცემულის საფუძველზე სიახლის დანერგვა იყოფა სამ ტიპად:

1. რადიკალური და საბაზო (პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, მართვის მეთოდები);

2. კომბინატორული (ელემენტების კონსტრუქციული განსხვავებული შეთანაწყობის გამოყენება);

3. მოდიფიცირებადი (საწყისი კონსტრუქციის, პრინციპების, ფორმების გაუმჯობესება, დამატება) [10].

ლიტერატურა/RECERENCES

1. ა. აბრალავა „ ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, თბილისი 2012
2. ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი. 2009.
3. Бездудный Ф.Ф., Смирнова Г.А., Нечаева О.Д. Сущность понятия инновация и его классификация // Инновации. - 1998. - №2-3. - С. 4.
4. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 1982. -С. 169-170.
5. cumpeter J. Business Cycles: A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process. - N.Y.-L., 1939. p. 62.
6. Кондратьев Н.Д. Избранные сочинения. - М.: Экономика, 1993. -С. 47.
7. См.: Инновационный менеджмент: Учебник для вузов / С.Д. Ильенкова, Л.М. Гохберг, С.Ю. Ягудин и др.; Под ред. проф. С.Д. Ильенковой. - 2-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2003. - С. 9.
8. Мешков А.А. Основные направления исследования инновации в американской социологии. //Социс. - 1996. - №5. - С. 118-121.
9. Schumpeter J. A. The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle. - USA, MA, Cambridge: Harvard University Press, 1934. - 255 pp.
10. Пригожин А.И. Нововведения: стимулы и препятствия (социальные проблемы инноватики). - М.: Политиздат, 1989. - С. 40.С. 270-275.